განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება

(მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი)
(ძირითადი სპეციალობები)

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი (30.10.2018)

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში; 0203 2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში; 0204 1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში. 1120
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დგვეფაძე, ბრანდორ კონსალტინგი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, „ნიუ ვიჟანი“, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამები (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი) ფუნქციონირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ფარგლებში, რომლის მიზანია პროფესიონალის მომზადება, რომელიც შეძლებს თანამედროვე ცოდნისა და სამეწარმეო მიდგომების გამოყენებით მიიღოს მონაწილეობა მმართველობით საქმიანობაში მენეჯმენტის, საბანკო და საფინანსო საქმის ან ტურიზმის დარგში და აღჭურვილი იქნება ბიზნესის საქმიანობისთვის საჭირო ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების უნარებით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი. კონკურსანტმა უნდა გაიაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები ეროვნულ საგამოცდო ცენტრში საკონკურსო საგამოცდო პროგრამის მოცულობით.

სასწავლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს და განაწილებული შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდული - 60 კრედიტი;
- ძირითადი სპეციალობა (Major) - 120 კრედიტი;
- დამატებითი სპეციალობა (Minor)/თავისუფალი კრედიტები - 60 კრედიტი.

სწავლების მესამე სემესტრიდან, სტუდენტი ირჩევს საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სამი მიმართულებიდან ერთ-ერთს: მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი - რომელშიც სწავლის დასასრულს, პროგრამის მოთხოვნების შესრულების შესაბამისად, მას მიენიჭება კვალიფიკაცია.

საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. მათ შორის:

- ზოგადი მოდული - 60 კრედიტი;
- ძირითადი სპეციალობა (Major) - 120 კრედიტი;
- დამატებითი სპეციალობა (Minor)/თავისუფალი კრედიტები - 60 კრედიტი.

სწავლების მესამე სემესტრიდან, სტუდენტმა უნდა აირჩიოს საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სამი მიმართულებიდან ერთ-ერთი: მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი - რომელშიც სწავლის დასასრულს, პროგრამის მოთხოვნების შესრულების შესაბამისად, მას მიენიჭება კვალიფიკაცია.

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა მოიცავს:

- ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო კურსების მოდული - 48 კრედიტი
- სპეციალობის მოდული - 72 კრედიტი

მენეჯმენტის მიმართულების შემთხვევაში:

- სავალდებულო კურსების მოდული - 42 კრედიტი
- სავალდებულო - არჩევითი კურსების მოდული - 6 კრედიტი
- არჩევითი კურსების მოდული - 24 კრედიტი

საბანკო და საფინანსო საქმის მიმართულების შემთხვევაში:

- სავალდებულო კურსების მოდული - 42 კრედიტი
- სავალდებულო - არჩევითი კურსების მოდული - 6 კრედიტი
- არჩევითი კურსების მოდული - 24 კრედიტი

ტურიზმის მიმართულების შემთხვევაში:

- სავალდებულო კურსების მოდული - 54 კრედიტი
- სავალდებულო - არჩევითი კურსების მოდული - 6 კრედიტი
- არჩევითი კურსების მოდული - 12 კრედიტი

სპეციალობის მოდულის სავალდებულო-არჩევითი კურსების მოდულის ფარგლებში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, მოამზადოს საბაკალავრო ნარომი, გაიაროს საწარმოო პრაქტიკა ან კონკრეტული მიმართულებისთვის რელევანტური პრაქტიკული კურსი და ამ გზით მოიპოვოს მინიმუმ 6 კრედიტი.

ასევე, სწავლების მესამე სემესტრიდან, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დამატებითი (minor) სპეციალობა ან თავისუფალი კრედიტების მეშვეობით დააგროვოს **60 კრედიტი.**

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 4 და 5 ოქტომბერს. ვიზიტამდე, 3 ოქტომბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, ნინო ზარნაძე ნინო დგვეფაძე და დავით ბურჯანაძე) 17:00 საათზე და 19:00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

4 და 5 ოქტომბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9:00 საათიდან, დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული: კერძოდ, პირველი სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. მეორე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, ვინაიდან 2.2 და 2.3 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს. მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. თუმცა, მეხუთე სტანდარტის 5.3 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდირებულია მენეჯმენტის სპეციალობის მოდული გაძლიერდეს მენეჯმენტის მიმართულების საგნებით.
  - რეკომენდირებულია ცალკეული სასწავლო კურსისათვის გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა;
  - რეკომენდირებულია მოხდეს ზოგიერთ სილაბუსში ლიტერატურის განახლება;
  - რეკომენდებულია უსდ-მ სრულყოს შრომის ბაზრის და პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევის მეთოდოლოგია კვლევის შედეგების ვალიდურობის მიზნით და და ქმედითად ჩართოს პოტენციური დამსაქმებლები პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია ეფექტურად იყოს გამოყენებული უსდ-ს ბიზნეს სკოლის საუკეთესო პრაქტიკა "მრჩეველთა საბჭოს" ინსტიტუტი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- Flipped Classroom model. ,,შებრუნებული საკლასო ოთახის" მოდელის დანერგვა,

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ფარგლებში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების დანერგვის მიზნით გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციები. ამ ტენდენციების გამოსავლენად სკოლის ადმინისტრაციამ გამიყენა მეორეული მონაცემები, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური გამოკვლევის ანგარიში. ამას გარდა, ილიას სახელმწიფოს უნივერსიტეტს ბიზნესის სკოლის ფარგლებში განხორციელდა ფოკუს ჯგუფი შრომის ბაზრის მოთხოვნების და უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პერსპექტივების ანალიზის მიზნით. ○ ბიზნესის სკოლაში შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომლის მიზანია მიზანია ხელი შეუწყოს პროგრამის განვითარებას, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან მის მუდმივ სინქრონიზაციას კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ინდუსტრიასა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს ,,ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე“. მისიიდან გამომდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანი, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული პროფესიონალის მომზადება, რომელიც შეძლებს თანამედროვე ცოდნისა და სამეწარმეო მიდგომების გამოყენებით მიიღოს მონაწილეობა მმართველობით საქმიანობაში მენეჯმენტის, საბანკო და საფინანსო საქმის ან ტურიზმის დარგში და აღჭურვილი იქნება ბიზნესის საქმიანობისთვის საჭირო ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების უნარებით. ○ ბიზნესის სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. რომელშიც გაწერილია ძირითადი გამოწვევები; სტრატეგიული ჩარჩო; სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების პროცედურა. შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმის ფარგლებშ გაწერიალი სამოქმედო გეგმა. ○ ბიზნესის სკოლის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში გაწერილია ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის სამსახური).

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმა;
- ბიზნესის სკოლის განვითარების სტრატეგია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შ ე ფ ა ს ე ბ ა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია სამი სპეციალობა: მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე და ტურიზმი. თითოეული სპეციალობისათვის განსაზღვრულია მისთვის დამახასიათებელი სწავლის შედეგები, რომელიც დეტალურად არის ასახული საბაკალავრო პროგრამასა და სწავლის შედეგების რუკაში. სწავლის შედეგების რუკაში ჩამოთვლილია სწავლის შედეგები და ის სასწავლო კურსები, რომელიც ემსახურება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგები მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის მიზნებს. თუმცა ამასთან დაკავშირებით გვაქვს მოსაზრება. კერძოდ, მენეჯმენტის სპეციალობის ბლოკში ისწავლება შემდეგი საგნები: ფინანსური აღრიცხვის პრინციპები 2, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, მმართველობითი აღრიცხვა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები, შესავალი ორგანიზაციულ ქცევაში, მეწარმეობა. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური აღრიცხვა 2, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები და მმართველობითი აღიცხვა წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების მნიშნელოვან საგნებს. წარმოდგენილი საგნები არ მიეკუთვნება მენეჯმენტსი სპეციალობის ბლოკს, ამ მოსაზრებას ადასტურებს თავად უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების გეგმა, რომელშიც გაწერილია სწავლის შედეგების და ამ შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის კონტრიბუციის (წვლილის) წონა. სწავლის შედეგების გეგმის მიხედვით

მენეჯმენტის სწავლის შედეგზე გაჰყავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ბიზნესის საფუძვლები (15%), შესავალი ორგანიზაციიულ ქცევაში (15%), შესავალი ადამიანიური რესურსების მენეჯმენტში (15%), მენეჯმენტის საფუძვლები (23%), მარკეტინგის საფუძვლები (8%), ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები (15%), სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძლები (8%). და არ არის მოცემული ისეთი საგნები, როგორიცაა ფინანსური აღრიცხვა და ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. ასევე აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსის წვლილი (წონა) სწავლის შედეგების მიღწევაში განისაზღვრა ექსპერტული მეთოდოლოგიით. თუმცა რა კრიტერიუმებით ბუნდოვანია.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია დასაქმების სფეროები. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ და წარმატებით იმუშავებენ როგორც კერძო, ასევე საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში შემდეგი მიმართულებებით მენეჯმენტი, ფინანსები, ტურიზმი. გარდა ამისა, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია უფრო მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს კვლევას კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების ტენდენციის გამოსავლენად. დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია. უნივერსიტეტს გააჩნია კარიერული განვითარების ცენტრი და სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის სტრატეგია. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერსებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი, კერძოდ, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისას განხილვებში აქტიურად ჩართულნი იყვნენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ბიზნესის სკოლის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ასევე შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის მიზანია შეუწყოს პროგრამის განვითარებას, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან მის მუდმივ სინქრონიზაციას კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის შემუშავების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობა საჭიროებს გაძლიერებას. ვინაიდან, გასაუბრებისას შეინიშნებოდა პროგრამის შემუშავების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობის სისუსტე. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროა და განთავსებული უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების ანალიზის ანგარიში;
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაიხვეწოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
“ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებიული სხვა მნიშნელოვანი ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში. პროგრამაზე მიღების ზემოაღნიშნული პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - http://iliauni.edu.ge/ge/ ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურების გამოყენებით. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შეხებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. პროგრამა ასევე ეყრდნობა უნივერსიტეტში შემუშავებულ საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამის სტანდარტს. ამას გარდა, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს მარტივიდან რთულისკენ, საფუძვლებიდან ზოგად კურსებზე და მაპროფილებელ სასწავლო კურსებზე, შინაარსობრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით. პროგრამის შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 240 კრედიტი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. მათ შორის: • ზოგადი მოდული - 60 კრედიტი; • ძირითადი სპეციალობა (Major) - 120 კრედიტი; • დამატებითი სპეციალობა (Minor)/თავისუფალი კრედიტები - 60 კრედიტი. სწავლების მესამე სემესტრიდან, სტუდენტმა უნდა აირჩიოს საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სამი მიმართულებიდან ერთ-ერთი: მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი - რომელშიც სწავლის დასასრულს, პროგრამის მოთხოვნების შესრულების შესაბამისად, მას მიენიჭება კვალიფიკაცია. სპეციალობის მოდულის სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკის ფარგლებში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, მოამზადოს საბაკალავრო ნაშრომი, გაიაროს საწარმოო პრაქტიკა ან კონკრეტული მიმართულებისთვის რელევანტური პრაქტიკული კურსი და ამ გზით მოიპოვოს მინიმუმ 6 კრედიტი. ასევე, სწავლების მესამე სემესტრიდან, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დამატებითი (minor) სპეციალობა ან თავისუფალი კრედიტების მეშვეობით დააგროვოს 60 კრედიტი. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა

და შემდგომ მათზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის განსაზღვრული პროგრამის სტრუქტურაში. საბაკალავრო პროგრამის დასაწყისში გათვალისწინებულია ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლა, რაც ხელს უწყობს ინგლისურენოვანი (მათ შორის სპეციალური) ლიტერატურით და ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობას. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები: როგორც ზემოთ 1.2 კომპონენტში აღვნიშნეთ ბიზნესის ადმისნიტრაირების ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის შემდეგი: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი. გამომდინარე აქედან პროგრამის ფარგლებშ ისწავლება ბიზნესია ადმინისტრირების ძირითადი საგნები და მესამე სემესტრიდან სპეციალობის საგნები, თუმცა მენეჯმენტის სპეციალობის მიმართულებით ვხდებით ფინანსების საგნებს. ფინანსური აღიცხვა 2, ფინანსური მენეჯმენტის საფუძლები. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას კვალიფიკაციის დონესთან გააძლიერებდა შემდეგი საგნების დამატება სპეციალობის სასწავლო კურსებში: მიწოდების ჯაჭვის მართვა, საერთაშორისო მენეჯმენტი, რისკების მართვა ან პროექტების მართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია მენეჯმენტის სპეციალობის მოდული გაძლიერდეს მენეჯმენტის მიმართულების საგნებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სილაბუსში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა (ძირითადი და დამატებითი) შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან თუმცა, ზოგიერთ სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურა (ინგლისურ ენოვანი) საჭიროებს განახლებას, კერძოდ: • ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები (ჯეიმს ვან ჰორნი, ჯ.მ. ვაჰოვიჩი უმცროსი, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, **2008, მე-12** გამოცემა); • შესავალი ადმიანური რესურსების მენეჯმენტში (Human Resources Management, 13th edition, Robert L. Mathis, John H. Jackson. **2010**. Human Resource Management, Gary Dessler, Thirteenth Edition, Florida International University, Pearson Education, Inc., publishing as Prentice Hall. **2011)** • ინვესტიციები (საინვესტიციო (კაპიტალდაბანდების) პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები. სტივ ლამბი & კრის ჯონსი, **2002**.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ○ საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: ☐ რეკომენდირებულია მოხდეს ზოგიერთ სილაბუსში ლიტერატურის განახლება;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გაუმჯობესება მიზნად ისახავდა პრქტიკულ უნარების გავიტარებაზე ორიენტირებული აქტივობების შეთავაზებას ცალკეულ კურსებში პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების შესრულებით, ასევე უშულოდ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სავალდებულო-არჩევითი დამოუკიდებელი ბლოკის ფარგლებში, რომელიც შეთავაზებულია თითოეული მიმართულებისთვის. აღნიშნული ბლოკი სტუდენტს საშუალებას აძლევს მინიმუმ ერთი სასწავლო კომპონენტი. ბლოკის საავლდებულო-არჩევით კომპონენტებს შორის გათვალისწინებულია: საბაკალავრო ნაშრომი და პროექტი, საწარმოო პრაქტიკა, მეწარმეობისა და ბანკინგის პრაქტიკული კურსები. აღნიშნული კომპონენტები ემსახურება სტუდენტის აღჭურვას თანამედროვე ბიზნეს გარემოში ადაპტირებისათვის საჭირო პრაქტიკული ან/და სამეწარმეო უნარ-ჩვევებით და ხელს უწყობს მათ ჩამოყალიბებას შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრად.

სავალდებულო-არჩევით ბლოკში გათვალისწინებული კომპონენტები ხორციელდება როგორც უნივერსიტეტისა და ბიზნესის სკოლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით განსაზღვრულ წამყვან ორგანიზაციებში, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ბაზაზე არსებულ პრეაქსელერატორ **Zoom-out-სა** და სამეწარმეო ინოვაციების ლაბორატორია **Fab Lab**-ის ბაზაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი - https://iliauni.edu.ge/ge
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- სიმულაციების შესყიდვის დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლების მეთოდების აღწერილობითი ნაწილი შეესაბამება რეალობაში განხორციელებულ მეთოდებს, არის არსებული საფეხურების მიმართ რელევანტური და სრულად უზრუნველყოფს შედეგების მიღებას.
პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის:

- ინტერაქტიული ლექციები და სემინარები;
- ვერბალური და წერითი მეთოდი;
- მასტერკლასები;
- შემთხვევის ანალიზი;
- პროექტები;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
- პროექტებზე/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- გონებრივი იერიში (Brain storming), რეფლექსია;
- როლური და სიტუაციური თამაშები/სიმულაციები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- მოდელირება;
- ლაბორატორიული მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობა;

მიუხედავად იმისა, ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენება სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები, სტუდენტებთან საუბრისას გამოვლინდა, რომ ჯგუფში 40-50 სტუდენტია, ხოლო უმრავლეს საგნებისათვის გამოყოფილია 2 საკონტაქტო საათი. რაც ამ სწავლის მეთოდების სრულყოფილად რეალიზებისათვის საკმარისი არ არის.

სტუდენტთა შეფასების სისტემა რეგულირდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით კერძოდ, სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმა და კომპონენტი შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განისაზღვრება ხვედრითი წილი. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატურია საგანმანათებლო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისათვის.

ამას გარდა ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში დაინერგა სწავლების ახალი კონცეფცია Flipped Classroom model. ,,შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი" გულისხმობს ისეთ სწავლებას, როცა სტუდენტი ახალ მასალას აუდიტორიის მიღმა ეცნობა ვიდეოლექციების საშუალებით, ხოლო აუდიტორიაში დარჩენილ დროს უფრო რთული აქტივობების შესასრულებლად იყენებს. მსგავსი მეთოდი ფოკუსირებულია ისეთი სააზროვნო უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა ანალიზი, სინთეზი და შეფასება. ილიას ბიზნესის სკოლის ახალი კონცეფცია თავის სტუდენტებს სთავაზობს მსოფლიოს საუკეთესო

უნივერსიტეტების კონტენტს, რომელსაც ისინი ვიდეოლექციების სახით შეისწავლიან მათთვის სასურველ ადგილას იქნება ეს სახლში, გზაში თუ სამსახურში. მოცემული კონცეფციის დანერგვით სტუდენტები უშუალოდ პრაქტიკულ მიდგომებსა და ცოდნას განიხილავენ ბიზნესის სკოლის წამყვან პრაქტიკოს ლექტორებთან ერთად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სხვადასხვა კურსის სილაბუსი; ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და შიდა შეფასების ფორმები; ○ შეხვედრების ანგარიში საბაკალავრო პროგრამის ლექტორებთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია ცალკეული სასწავლო კურსისათვის გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • Flipped Classroom model. ,,შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი"-ის დანერგვა,
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტუდენტების შეფასება მთელი სასწავლო კურსის განმავლობაში ეფუძნება მათ მიერ გაწეულ შრომას. საერთო შეფასება მოიცავს შუალედურ და საბოლოო შეფასებას. გარდა ამისა თითოეული საგნის შეფასების კომპონენტი მოიცავს სხვადასხვა ელემენტებს, როგორებიცაა სასწავლო წერილობითი ამოცანები, ტესტები, ქეისების შესწავლა, გუნდურ პროექტებზე მუშაობა, ინდივიდუალური პროექტები, წერილობითი ან ზეპირი გამოცდები და სხვა. თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმი ნათლად და გამჭვირვალედ ითვალისწინებს თითოეული კურსის სილაბუსს. სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული, თუ როგორ ფასდება სხვადასხვა ელემენტებში მათი შესრულება. უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება ხდება უნივერსიტეტში არსებული წესების დაცვით. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსით“ სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ უკუკავშირი აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან სასწავლო პროცესის მიდინარეობისას თავიანთი მირწევების შესახებ. ამ მხრივ ელექტრონული სისტემა არგუსი ეხმარება სტუდენტებს მუდმივ კავშირში ჰქონდეთ ლექტორებთან. გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური შეფასებების შემდგომ, სტუდენტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს საკუთარი ნაშრომისა და ქულის შესახებ უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა შეფასების წესი ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს და პირობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსის სილაბუსი; ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და შიდა შეფასების ფორმები; ○ შეხვედრების ანგარიში საბაკალავრო პროგრამის ლექტორებთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები პერიოდულად იღებენ მათთვის ყველა აუცილებელ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მირწევების გაუმჯობესებისა, დასაქმებისა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. უნივერსიტეტს გააჩნია სპეციალური პროგრამული სისტემა ,,არგუსი", რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მართონ ეფექტიანად სასწავლო პროცესი.

უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური წერის ცენტრი, რომლიც სთავაზობს სტუდენტებს ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდეს ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღოს კონსულტაცია მისთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით; ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდეს ცენტრის მიერ შემოთავაზებულ სემინარებზე, რომელიც სინქრონიზირებულია აკადემიური წერის კურიკულუმთან და აკადემიური წერის კურსების მიღმა სთავაზობს სტუდენტებს დახმარებას წერის უნარების განვითარების კუთხით; ისარგებლოს აკადემიური წერის ცენტრის მიერ შექმნილი ონლაინ რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ცენტრის ვებ-გვერდზე http://writingcentre.iliauni.edu.ge/.

ამასთან, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სერვის ცენტრი. ცენტრი ინფორმაციას აწვდის სტუდენტს დასაქმებისა და კარიერული განვითარების კუთხით. ამ ცენტრის ორგანიზებით ეწყობა დასაქმების ფორუმებს, ხოლო პროფესიული გამოცდილების ამაღლების მიზნით აორგანიზებს საჭირო სტუდენტურ პროექტებს, მასტერ კლასებსა თუ საჯარო ლექციებს.

სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით ინფორმირებულობის გაზრდისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, ბიზნესის სკოლაში შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული ერთეული: დამსაქმებელთან ურთიერთობის და კარიერის დაგეგმვის სამსახური, რომელიც მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალურ კონსულტირებას.

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ასევე მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას უნივერსიტეტში მოქმედ და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტებსა და აქტივობებში. ამ მიზნით დეპარტამენტი:

საგარეო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ. Erasmus +) და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საერთშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. აღნიშნულის ფარგლებში სამსახური სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის სერვისებს. ამასთანავე, საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ (საზაფხულო სკოლები, საერთაშორისო სტიპენდიები, კონფრენციები, სტაჟირებები, ა.შ.)

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობას და ერაზმუს + ფარგლებში, ბიზნესის მიმართულებით ახორციელებს მობილობას (სტუდენტების და პროფესორების გაცვლა) შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ვილნიუსის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, ლიტვა
- ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, ავსტრია
- მიდლსექსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
- სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი
- მიკოლას რომერის სახელობის უნივერსიტეტი, ლიტვა
- პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი, საფრანგეთი
- პარიზის ვალ-დე-მარნის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
- პარიზის დიდროს უნივერსიტეტი - 7, საფრანგეთი
- ამსტერდამის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ნიდერლანდები
- ვალიადოლიდის უნივერსიტეტი, ესპანეთი
- კადისის უნივერსიტეტი, ესპანეთი
- უფსალას უნივერსიტეტი, შვედეთი
- LCC საერთაშორისო უნივერსიტეტი, ლიტვა
- ტუშას უნივერსიტეტი, იტალია

- კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ლიტვა
- ტურკუს უნივერსიტეტი, ფინეთი
- საქსიონის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, ნიდერლანდები
- მიდლსექსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
- ლიმერიკის უნივერსიტეტი, ირლანდია
- კასტილია-ლა მანჩის უნივერსიტეტი, ესპანეთი
- იენის უნივერსიტეტი, გერმანია
- იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი, რუმინეთი
- ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ვარშავის ეკონომიკური სკოლა, პოლონეთი
- გლაზგოს უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
- ბაბეშ-ბოლაის უნივერსიტეტი, რუმინეთი

აკადემიური მიღწევების შესახებ უკუკავშირს სტუდენტები იღებენ უშუალოდ სასწავლო კომპონენტების ხელმძღვანელებისან: აკადემიური ან მოწვეული პერსონალისაგან როგორც პირდაპირი კომუნიკაციის გზით (საკონსულტაციო საათები), ასევე - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის: „არგუსის“ მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის თვითშეფასების რეპორტი;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და შიდა შეფასების ფორმები;
- შეხვედრების ანგარიში საბაკალავრო პროგრამის ლექტორებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 155 პერსონალი (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი), რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში.

პროგრამაში ჩართულია: 12 აფილირებული პროფესორი, 28 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 6 აფილირებული ასისტენტ პროფესორი. მოწვეული პერსონალი - 110 ადამიანი. პროგრამაში სულ ჩართულია 155 ადამიანი.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე პირის მიმართ ძირითადი მოთხოვნები შემდეგია: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება. ყურადღება ექცევა მიმართულების შესაბამის პედაგოგიური, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილებას, მოხსენების საერთაშორისო სამეცნიერო და ადგილობრივ კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, წარადგინოს სამეცნიერო კვლევების კონცეფცია, სამოტივაციო წერილი და ა.შ. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია უსდ-ის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით. პროგრამის განმახორციელებელი პირების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის წარმართვას და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ვიზიტის შედეგად ვლინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეტანილმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა მოახდინა პროგრამის განვითარებაზე. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლაში დაინერგა სწავლების ახალი ,,Flipped Classroom model. ,,შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი" მიდგომა. პროგრამის სტუდენტების უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; ○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობებით; ○ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის შაბლონით; ○ პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა; ○ პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები; ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის საფეხურის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის განმახორციელებელი პირები ფლობენ სწავლის შედეგების გამომუშავებისათის აუცილებელ კომპეტენციებს. ეს დასტურდება მათი კვალიფიკაციით, სამეცნიერო ნამუშევრებით და პრაქტიკული გამოცდილებით. ვიზიტის შედეგად დგინდება უსდ-ს პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობა კვლევით და სამეცნიერო სამუშაოებში, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში არსებული პერსონალის მართვის სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად, თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის ყველა ტიპის პერსონალისათვის.

უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება პროგრამაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების კვლევები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით. აღნიშნული კვლევების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დაედო საფუძვლად უნივერსიტეტში დეგეგმილიყო სწავლა-სწავლებასთან და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული პროფესიული გადამზადების მოდულის შექმნა.

ამასთან, პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის ხელშეწყობის მიზნით ბიზნესის სკოლის ბაზაზე დაფუძნდა ბიზნესის კვლევების ცენტრი, რომელიც ემსახურება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ხარისხის ამაღლებას.

აღსანიშნავია პროფესორ-მასწავლებლების უცხო ენების ცოდნის მაღალი დონე, რაც შესაძლებელს ხდის, თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებას სწავლის შედეგების მისაღწევად. ეს, თავის მხრივ, უწყობს ხელს ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებას. პროგრამის განმახორციელებელი პირების მაღალი კვალიფიკაცია დგინდება მათი უმაღლესი განათლების დიპლომებითა და სამეცნიერო/აკადემიური კვალიფიკაციით, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთებით, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალით, მონოგრაფიებითა და პუბლიკაციებით. ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართულ პირთა მიერ ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულია 54 ნაშრომები, საერთაშორისო ჟურნალებში - 34. ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებულია 21 და საერთაშორისო კონფერენციებში - 47 მოხსენება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროგრამაში ჩართული განმახორციელებელი პირთა აკადემიურ თანამდებობაზე შერჩევა ხდება ღია, ტრასპარენტული და მრავალკომპონენტიანი ინდიკატორების შეფასების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პროფესიულ განვითარებაში დოკუმენტები;
- აკადემიური პერსონალის სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა თანამედროვეა. მასში შექმნილია პროგრამის შედეგების მიღწევისათვის შესაბამისი გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით და სასწავლო პროცესისათვის სხვა საჭირო ტექნიკით. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა წიგნს და წიგნების ელექტრონულ ანალოგებს. ბიბლიოთეკა ღიაა როგორც სტუდენტებისათვის, ასევე ნებისმიერი მსურველთათვის. ნებისმიერ მსურველს აქვს წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან. უნივერსიტეტში გამოყოფილია სივრცე სტუდენტებსის ჯგუფური მუშაობისთვის. პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია დანახარჯები საბიბლიოთეკო ფონდის განახლებაზე. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა ”არგუსი” - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა. უნივერსიტეტი აღნიშნულ სისტემაში ახდენს ყველა სტუდენტის რეგისტრაციას, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზებას, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსებას. სისტემა „არგუსის“ საშუალებით, სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს, ამოწმებს მიღებულ შეფასებებსა და დაგროვებულ კრედიტებს. სისტემა ასევე, გამოიყენებება როგორც საკომუნიკაციო მედია აკადემიურ პერსონალს, სწავლის პროცესში ჩართულ სხვა პირებსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, „არგუსის“ საშუალებით მთელი წლის განმავლობაში ჰქონდეთ კონტაქტი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შენობა-ნაგებობების საკუთრების დოკუმენტით; • სილაბუსებში არსებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა დასტურდება ვებგვერდზე არსებული კატალოგებით; • შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერებით. • სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge/ • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge/; • ელექტრონული სწავლების პორტალი: http://moodle.iliauni.edu.ge/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
პროგრამას აქვს განსაზღვრული ბიუჯეტი, რომელიც მიღწევადს ხდის პროგრამის შედეგებს. ბიუჯეტში განსაზღვრულია წიგნადი ფონდის განახლების, კონფერენციებში მონაწილეობის და სამეცნიერო კვლევებში ჩართულობისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს და სხვა ხარჯებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ **პროგრამის ბიუჯეტი.**
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ☐
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

1. შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდ-ში კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც ბიზნეს სკოლის დონეზე ახორციელებს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის მართვის ორგანო, რომელიც თავის საქმიანობით ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე. პროგრამების პერმანენტულ შეფასებაში ბიზნეს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ჩართულია როგორც ადმინისტრაციული, ასევე - აკადემიური პერსონალი "პროგრამებისა და თემატური ბლოკების ხელმძღვანელების სამუშაო ჯგუფის" ფარგლებში.
დასახული მიზნების განხორციელებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე"(PDCA) ციკლის მიდგომას. ხარისხის უზრუნველყოფა განიხილება, როგორც სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესების აქტივობებს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით.

უსდ-ს ბიზნესის სკოლას შემუშავებული აქვს პროგრამის თითოეული მიმართულებისათვის რელევანტური სწავლის შედეგების/კომპეტენციების შეფასების გეგმა და მათ შორის თითოეული კომპეტენციისათვის სასურველი ზღვრული ნიშნული, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და მეორე მხრივ, აძლევს შესაძლებლობას სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. ამასთანავე, ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კომპეტენციებზე დაწესებული ზღვრებისათვის მისაღწევი სასურველი სამიზნე ნიშნულები. პროგრამის შედეგების/კომპეტენციების პერიოდული შეფასების გეგმა, ერთი მხრივ, ითვალისწინებს და ეყრდნობა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს: პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით თითოეული კომპეტენციის გაზომვას, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული პერიოდულობით თითოეულ თემატურ ბლოკში შემავალ კურსთა მიხედვით, სტუდენტების აკადემიური მიღწევის საშუალოს გაანგარიშებას.
შიდა შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით. შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამების (სწავლა-სწავლების), კვლევის, რესურსის და სერვისების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. წელიწადში ორჯერ ხორციელდება სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსების შეფასება. ასევე, უსდ ახორციელებს სტუდენტების გამოკითხვას მათი კმაყოფილების და დასაქმების მაჩვენებლის დადგენის, საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ. გამოკითხვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. კვლევა ხორციელდება არგუსის ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმის გამოყენებით. პროგრამით კმაყოფილების კვლევა ხორციელდება საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან მერვე სემესტრის ბოლოს. ასევე, უსდ-ს მიერ ხორციელდება კურსდამთავრებულთა ყოველწლიური კვლევა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის კვლევის შედეგები არ იყო წარმოდგენილი უსდ-ში ვიზიტის დროს, ვიზიტის პერიოდში კვლევის ანგარიშზე მუშაობის გამო. უსდ, ასევე, ყოველწლიურად ახორციელებს მოწვეული და

აკადემიური პერსონალის გამოკითხვას უნივერისტეტში არსებულ სერვისებსა და რესურსებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგებში გამოიყენება, როგორც სისტემური ისე საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები უსდ-ს შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. შიდა შეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებული მონაცემები აისახება საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულ შიდა თვითშეფასების ანგარიშში.

საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების ფარგლებში ხდება უსდ-ს მიერ კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა საკითხის სიღრმისეულ შესწავლის შესაძლებლობას. მაგალითისთვის, 2017 წელს უსდ-მ განახორციელა პირველკურსელთა გამოკითხვა უსდ-ს სერვისების შესახებ, მობილობის კვლევა და ა.შ.

შიდა თვითშეფასების ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს. ფაკულტეტის/სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც შიდა თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, ასევე ანგარიშისგან დამოუკიდებლად, შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით გამოვლენილი შედეგებისა და მიგნებების საფუძველზე, განსხვავებული პერიოდულობით. პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცედურები ფორმულირებულია „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესსა და პროცედურებში“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებულ ცვლილებათა ნუსხა, 2018;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები;
- პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და მაჩვენებლები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (http://iliauni.edu.ge/ge/ajax/downloadFile/35919/QA_debuleba.pdf);
- პროგრამებისა და თემატური ბლოკების ხელმძღვანელების სამუშაო ჯგუფის შექმნის დამადასტურებელი ბიზნეს სკოლის საბჭოს ოქმი;
- ინტერვიუს შედეგები თვითშეფასების ჯგუფთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
უსდ-ს ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები გარე შეფასების შედეგებს იყენებენ პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით. გარე შეფასება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების მიერ წინა აკრედიტაციის შედეგად წარმოდგენილ იქნა რჩევები და რეკომენდაციები უსდ-ს პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. უსდ-მ აკრედიტაციის ანგარიშში წარმოდგენილ რეკომენდაციებზე და რჩევებზე მოახდინა რეაგირება, რაც ასახულია პროგრამის გარე შეფასების შედეგად განხორციელებულ ცვლილებათა ნუსხაში. ბიზნეს სკოლის დონეზე შექმნილია “მრჩეველთა საბჭო”, რომლის შემადგენლობაში შედიან დამსაქმებლები. აღნიშნული პრაქტიკა მყარ საფუძველს აძლევს ფაკულტეტს სწორად ჩართონ დამსაქმებლები პროგრამის გაუმჯობესების კუთხით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე, მრჩეველთა საბჭოს წევრები უფრო ზოგადი სახის რეკომენდაციებით შემოიფარგლებოდნენ და ნაკლებად იყო გამოკვეთილი მათი უშუალო ჩართულობა ბიზნეს სკოლის კონკრეტული პროგრამის შემუშავების და გაუმჯობესების კუთხით. ასევე, შრომის ბაზრის მოთხოვნის დასადგენად უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ ეტაპზე შემოიფარგლა “მრჩეველთა საბჭოს” წევრების ერთი ფოკუსური ჯგუფური გამოკითხვის შედეგებით. თუმცა, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს დამსაქმებელთა უფრო ფართომასშტაბიანი კვლევის განხორციელებას შრომის ბაზრის მოთხოვნების დასადგენად და, ასევე, “მრჩეველთა საბჭოს” ინსტიტუტის ფუნქციონირების ეფექტურობის გაუმჯობესებას. უსდ-ს დამტკიცებული აქვს უსდ-ს ბიზნესის სკოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2018-2024), განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის გარე შეფასების შედეგად განხორცილებულ ცვლილებათა ნუსხა, 2018; • მრჩეველთა საბჭოს დებულება; • ფოკუსური ჯგუფის შედეგები მრჩეველთა საბჭოს წევრების მონაწილეობით; • ინტერვიუს შედეგები მრჩეველთა საბჭოს წევრებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან; • ინტერვიუს შედეგები უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და სკოლის მმართველ ორგანოსთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უსდ-ს ხარისხის სამსახური ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება შიდა და გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების სისტემა.

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი, მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ყველა საფეხურზე: მის დაგეგმვაში, განხორციელებაში (მიმდინარე შეფასებები, მათი შედეგების ანალიზი), შემოწმებასა და განვითარებაში. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ.

სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები ხორციელდება თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით. თვითშეფასების შედეგად დადგენილი სირთულეების გასწორება განხორციელდება ყოველწლიურად. დამატებით, პროგრამა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და კურიკულუმის განვითარების მიზნით, შესაძლებელია განახლდეს ყოველი სემესტრის დასაწყისში. შედეგად, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების თანახმად და ეყრდნობა შემდეგი სახის კვლევის შედეგებს: დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი, სტუდენტების მხრიდან პროგრამის, სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება, კურსდამთავრებულთა მხრიდან პროგრამის შეფასების, მათი დასაქმების კვლევა, და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის კვლევა. პოტენციური დამსაქმებლის მოთხოვნის კვლევა ამ ეტაპზე ეყრდნობა მხოლოდ ფაკულტეტის «მრჩეველთა საბჭოს» ერთი ფოკუსური ჯგუფის შედეგებს. ხოლო, შრომის ბაზრის კვლევა - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2017 წელს განხორციელებულ «უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკურ კვლევას».

უსდ-ს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და ადმინისტრაციის შეფასებების, უსდ-ს ხარისხის სამსახურის და ბიზნეს სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის მიგნებების საფუძველზე განახლდა ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრიატის პროგრამა.

უსდ-ს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატური კონტროლისა და რეკომენდაციების გაცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებულ ცვლილებათა ნუსხა, 2018;
- პროგრამის გარე შეფასების შედეგად განხორცილებულ ცვლილებათა ნუსხა, 2018;
- მრჩეველთა საბჭოს დებულება;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები;
- პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და მაჩვენებლები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (http://iliauni.edu.ge/ge/ajax/downloadFile/35919/QA_debuleba.pdf);
- პროგრამებისა და თემატური ბლოკების ხელმძღვანელების სამუშაო ჯგუფის შექმნის დამადასტურებელი ბიზნეს სკოლის საბჭოს ოქმი;
- ინტერვიუს შედეგები თვითშეფასების ჯგუფთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუს შედეგები მრჩეველთა საბჭოს წევრებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან.
-

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უსდ-მ სრულყოს შრომის ბაზრის და პოტენციური დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევის მეთოდოლოგია და ქმედითად ჩართოს პოტენციური დამსაქმებლები პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში.
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ეფექტურად გამოიყენოს უსდ-ს ბიზნეს სკოლის საუკეთესო პრაქტიკა "მრჩეველთა საბჭოს" ინსტიტუტი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დავით სიხარულიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო ზარნაძე



ნინო დგვეფაძე

დავით ბურჯანაძე